შემოსავლების
სამსახური

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16
ტელ: +995 (32) 226 11 42, +995 (32) 226 11 16
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge

30735-21-10-2-202103161302

N 21-10/30735

https://edoc.mof.ge/public/#/

16/03/2021

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
აღსრულების ეროვნული ბიუროს
აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს
[redacted]

ქალბატონო ხატია,

თქვენი 2021 წლის №A20051540-023/002 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „[redacted]“ საბაჟო საწყობის სანებართვო საქმიანობას ახორციელებს ქვეიჯარის ხელშეკრულებით მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ტერიტორიაზე, რომელზეც განთავსებულია 4 ცალი რეზერვუარი, შესაბამის ინფრასტრუქტურასთან ერთად. საბაჟო საწყობის ტერიტორია წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას და მითითებულ რეზერვუარებში ინახება საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი N2) 1^1 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ზონა უქმდება აღნიშნულ საქმიანობაზე ნებართვის გაუქმებასთან ერთად. ამასთან, ასეთი ტერიტორია ნებართვის გაუქმების შემდგომაც ჩაითვლება დროებით საბაჟო კონტროლის ზონად მასში არსებული საქონლის გაფორმებამდე ან სხვა საბაჟო კონტროლის ზონაში გადატანამდე.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული რეზერვუარების რეალიზაციის შემთხვევაში, დემონტაჟის განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მათი გამოთავისუფლების – ამ რეზერვუარებში არსებული საქონლის სხვა რეზერვუარში ან სხვა საბაჟო საწყობში გადატანის, ან შესაბამისი საბაჟო პროცედურის გამოყენების ან რეექსპორტის განხორციელების შემდგომ.

რაც შეეხება რეზერვუარების გამოთავისუფლებას, აღნიშნული უნდა განხორციელდეს მათი რეალიზაციის შედეგების გათვალისწინებით, საბაჟო ორგანოს მიერ ნებართვის გაუქმების ან მასში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებითა და საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელსა და საქონლის დამსაწყობებელს შორის სამართლებრივი ურთიერთობების დასრულებისთვის სათანადო ვადის განსაზღვრით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №455 დადგენილებით დამტკიცებული „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის

საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ“ ინსტრუქციის მე-16 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად.

მითითებული ფორმალობების განხორციელების მიზნით, გთხოვთ, რეალიზაციის შედეგების თაობაზე გვაცნობოთ დამატებით.

პატივისცემით,